

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „ქაშვეთი Qashveti „ ს კ 445 437 493

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ზოგადი ინფორმაცია.....
2. მომზადების საფუძველი.....
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები გამოწვეული მსს ფასს-ზე გადასვლით.....
4. სააღრიცხვო პოლიტიკა.....
5. სრული შემოსავლის ანგარიშგება.....
6. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....
7. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....
8. განმარტებითი შენიშვნები.....

	Note	12/31/2018	12/31/2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	384 507	81 879
საინვესტიციო ქონება	4	0	0
ბიოლოგიური აქტივი	5	0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		0	0
		384 507	81 879
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	168 620	128 347
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	723 151	696 340
მარაგები	8	2 865 060	2 377 667
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	9	0	0
		3 756 831	3 202 354
მთლიანი აქტივები		4 141 338	3 284 232
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		204 000	574 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 766 114	1 068 095
გადაფასების რეზერვი		0	0
		1 970 114	1 642 095
ვალდებულებები			0
გრძელვადიანი ვალდებულებები			0
გრძელვადიანი სესხები	10	1 066 027	202 250
ანარიცხები	11	0	0
		1 066 027	202 250
მოკლევადიანი ვალდებულებები			0
მოკლევადიანი სესხები	10	0	388 830
გადავადებული შემოსავალი	12	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	346 895	320 068
საგადასახადო ვალდებულებები	14	63 267	28 563
გადასახდელი პროცენტი		4 408	4 408
გადასახდელი დივიდენდი		0	0
		414 570	741 869
მთლიანი ვალდებულებები		1 480 598	944 119

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	3 450 712	2 586 214
შემოწმება	(690 626)	(698 019)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება		
	Note	12/31/2018
ამონაგები	16	5 273 178
თვითღირებულება		(4 070 179)
		-
საერთო მოგება		1 202 999
სხვა შემოსავლები	17	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(365 523)
მიწოდების დანახარჯები		-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(79 762)
სხვა ხარჯები	19	-
		-
საოპერაციო მოგება		757 713
ფინანსური შემოსავალი	20	-
ფინანსური ხარჯი	20	(67 088)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(67 088)
მოგება დაბეგვრამდე		690 626
		-
მოგების გადასახადი		-
პერიოდის მოგება		690 626
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-
		-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		690 626

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-
შემოწმება, 2017	(574 000)	-	(1 068 095)	(1 642 095)
შემოწმება, 2018	(204 000)	-	(1 766 114)	(1 970 114)

1. ზოგადი ინფორმაცია :

შპს ქაშვეთი ს.ნ 445437493, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 03/02/2014 წელს.

საწარმოს იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი, პ. ლორიას ქN8 ბინა 16

საწარმოს ფაქტიური მისამართები მაღაზია : ბათუმი შავშეთის ქN24/იჯარა შპს რერო 2008 ს/კ 245621929/

ბათუმი სოხუმის ქN9 /საწყობი/ /იჯარა ფ/პ ნონა ბერიძე პირადი N61001057459 /

ბათუმი პუშკინის ქN23 /საწყობი/ /იჯარა შპს ბათუმის მექანიკური ქარხანა ს/კ 245400800/

ბათუმი სოხუმის ქN31 /საწყობი/ /საკუთრება/

ბათუმი გაგარინის ქN6 /საწყობი /იჯარა ფ/პ გოჩა ბერიძე პირადი N61001020710/

, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, შავშეთის ქN24

. საწარმოს 100% წილის მფლობელი დირექტორი და დამფუძნებელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი გიორგი ზოსიძე (პ/ნ: 61002018484). საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა სანტექნიკური და სამშენებლო მასალებით.

საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2018 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. მომზადების საფუძველი :

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ქაშვეთი Qashveti -ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია: მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე; გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია: კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვასა და შენარჩუნებაზე; ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც სიზუსტით ასახავს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, უახლოესი წლების განმავლობაში კომპანია ფუნქციონირების შეწყვეტას, ან მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვას. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 30 სექტემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები გამოწვეული მსს ფასს-ზე გადასვლით ძირითადი საშუალებები

კომპანია არ ახდენდა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდულად გადახედვას და ცვლილებას საჭიროების შემთხვევაში. ხელმძღვანელობამ 2018 წლის ბოლოს მოახდინა ძირითად საშუალებებზე სასარგებლო მომსახურების ვადების გადახედვა და მოახდინა ცვეთის გადაანგარიშება.

მარაგები

მარაგებს არ უტარდებოდა გაუფასურებაზე ტესტირება

4 სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშო პერიოდებში.

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი /GEL/.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების

კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება როგორც ფინანსური შემოსავლები და ხარჯები.

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები :

ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებებით, დაკლებული ცვეთით.

ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება მოიცავს შეძენის ფასსა და მის შეძენასთან დაკავშირებულ უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს.

ანგარიში	დასახელება	01.01.2018 დებეტი რაო- ბა/ფასი	01.01.2018 დებეტი თანხა	სასარგებლო გამოყენების ვადა
2180/MERCEDES	MERCEDES-BENZ 615D KA	1 ცალ 8939.01	8939.01	15 წელი
2180/MERCEDES 1223	MERCEDES-BENZ 1223	1 ცალ 15022.09	15022.09	15 წელი
2180/MERCEDES BENZ	MERCEDES-BENZ SPRINTER 208CDI	1 ცალ 7238.4	7238.40	15 წელი

2180/MERCEDES413	MERCEDES-BENZ SPRINTER 413 CDI	1 ცალ 6833.77	6833.77	15 წელი
2120/2	საწყობის მშენებლობა /ბათმი სოხმის ქ.31/ /დაუმთავრებელი მშენებლობა	-	126084.12	0
2110/052864015	ბათმი სოხმის ქ.31/მიწის ნაკვეთი	565 ჰკვ 336.283186	190000.00	
2182/DAF	სატვირთო DAF XF 105.410	1 ცალ 18348.56	18348.56	15 წელი
2182/LINDE H30F	მ/მ ჩანგლი სატვირთველი LINDE H30F -03 H2X351L00275 შასი	1 ცალ 5809.23	5809.23	15 წელი
2182/მისაბმელი	მისაბმელი SAMBRO CD 19PJ	1 ცალ 5229.53	5229.53	15 წელი
2189/DAF E3	წყლის რადიატორი DAF E3	1 ცალ 885.87	885.87	3 წელი
2189/დისკი	დისკი	4 ცალ 967.875	3871.50	2 წელი
2189/მქიქი	ა/მ მარეგულირებელი სარქველი (მოდ-ლატორი)	1 ცალ 1922.66	1922.66	3 წელი

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით.

მარაგები :

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და სხვა ანაზღაურებად გადასახადებს. ტრანსპორტირების და დატვირთვის დანახარჯებს რაც საჭიროა მარაგის ადგილზე მიტანისთვის. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით რომელსაც გამოკლებული აქვს გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ფინანსური აქტივები :

ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისგან, ფულადი სახსრების ექვივალენტებისგან და სავაჭრო მოთხოვნებისგან.

ძირითადი გაყიდვები ხორციელდება სტანდარტულად და ვადაგადაცილებაზე მყიდველს არ ეკისრება პროცენტი ან პირგასამტეხლო.

ფულადი სახსრები მოიცავს ფულს სალაროში და კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ფინანსური ვალდებულებები :

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულება შედგება აღებული სესხებისა და სხვა სავაჭრო ვალდებულებებისა.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს როდესაც შესრულდება ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებები. ხელშეკრულებას ვადა გაუვა ან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეწყდება ხელშეკრულება.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო :

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებულ პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული

მომსახურების სანაცვლოდ. დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

იჯარა :

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და ეკონომიკური სარგებლის გადაცემადება კომპანიისთვის . ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ იჯარად.

ფულადი დივიდენდები :

კომპანია აღიარებს დივიდენდის გადახდის ვალდებულებას, როდესაც დივიდენდის განაწილება ნებადართულია და აღარ არის კომპანიის გადაწყვეტილების საგანი. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, დივიდენდების განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მას ამტკიცებენ მფლობელები. შესაბამისი თანხის აღიარება პირდაპირ კაპიტალში ხდება.

გადასახადები :

მოგების გადასახადი :

მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში

დამატებითი ღირებულების გადასახადი :

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა: როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებით ღირებულების გადასახადს.

საშემოსავლო გადასახადი :

კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

კაპიტალი:

საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელი მოგებას



შპს ქაშვეთი Qashveti- დირექტორი :

/გ.ზოსიძე/

ბუღალტერი:

/ბ.ბოლქვაძე/